თამაზ მღებრიშვილი მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებს შეხვდა

6 ივლისი

საქართველოს მელიორაციის გენერალური დირექტორი თამაზ მღებრიშვილი მსოფლიო ბანკის საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციის და მიწის პროექტის (GRAIL) ხელმძღვანელს, რანუ სინჰას შეხვდა.

თამაზ მღებრიშვილმა შეხვედრაზე მსოფლიო ბანკთან მრავალწლიანი წარმატებული თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა და რანუ სინჰას მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისთვის.

მხარეებმა საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციის და მიწის პროექტის (GRAIL) დეტალები განიხილეს.

აღნიშნული პროექტი სახელმწიფოსა და მსოფლიო ბანკის თანამონაწილეობით განხორციელდება და მისი ღირებულება 150 მლნ დოლარია.

პროექტის (GRAIL) ფარგლებში, რამდენიმე სარწყავი და სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაცია-მოდერნიზაცია განხორციელდება; შედეგად, საპროექტო ტერიტორიებზე გაუმჯობესდება სამელიორაციო მომსახურება და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება.

შეხვედრას მსოფლიო ბანკის ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტის მენეჯერი ლალი დურმიშიძე და საქართველოს მელიორაციის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

თამაზ მღებრიშვილმა სამელიორაციო ინფრასტრუქტურა დაათვალიერა

14 ივლისი

საქართველოს მელიორაციის გენერალურმა დირექტორმა თამაზ მღებრიშვილმა საგარეჯოსა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში სამელიორაციო სისტემები დაათვალიერა.

გენერალურმა დირექტორმა და შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებმა სარწყავი სეზონის მიმდინარეობა განიხილეს და ინფრასტრუქტურული ობიექტების გამართულად მუშაობისთვის საჭირო საკითხებზე იმსჯელეს.

ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდისთვის გამართული სარწყავი ინფრასტრუქტურა ერთ-ერთ აუცილებელი წინაპირობა.

სარწყავი სეზონის პარალელურად საქართველოს მელიორაცია, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 75,8 მლნ ლარის ღირებულების სამელიორაციო ინფრასტრუქტურულ პროექტებს ახორციელებს, რომელთა დასრულების შემდეგ, რეგულარულად დამატებით 6,600 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი მოირწყვება, სარწყავი წყლის მიწოდება 6000-ზე მეტ მიწის ფართობზე გაუმჯობესდება, ხოლო სადრენაჟე სამუშაოები 905 ჰექტარზე განხორციელდება.

ხობი-ენგურის დამშრობი მასივის გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს

26 ივლისი

შპს „საქართველოს მელიორაცია“, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, ხობი-ენგურის დამშრობი მასივის მოწესრიგების სამუშაოებს ატარებს.

სოფელ დიდ ნეძში ხე-ბუჩქნარისა და ნატანი მასისგან 2.5 კილომეტრი სიგრძის კოლექტორები და შემკრები არხები იწმინდება.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად, არხის გამტარუნარიანობა გაიზრდება და მუნიციპალიტეტში, 35 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურება აღდგება, რაც სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების გაზრდას შეუწყობს ხელს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სადრენაჟე ქსელი წესრიგდება

1 აგვისტო

შპს „საქართველოს მელიორაცია“ რიონის მარცხენა სანაპიროს დამშრობი მასივის გაწმენდით სამუშაოებს ატარებს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ გვიმბალაურის ტერიტორიაზე, ბუჩქნარისა და ნატანისაგან 2 კილომეტრი სიგრძის კოლექტორული და შემკრები ქსელი იწმინდება.

სამუშაოები არხში წყლის შეუფერხებლად გადინებას შეუწყობს ხელს; 15 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურება აღდგება და აგროწარმოების შესაძლებლობა გაიზრდება.

დამშრობ მასივზე სამუშაოები აგვისტოს შუა რიცხვებში დასრულდება.

სადრენაჟე სისტემის აღდგენითი სამუშაოები ქობულეთის მუნიციპალიტეტში

17 აგვისტო

შპს „საქართველოს მელიორაცია“ აჭყვას მასივს აწესრიგებს.

სამუშაოების ფარგლებში, ქობულეთის მუნიციპალიტეტში ხე-ბუჩქნარისა და ნატანი მასისგან 4 კილომეტრამდე სიგრძის კოლექტორული და შემკრები არხები იწმინდება.

ჩატარებული სამუშაოები არხებში წყლის შეუფერხებლად გადინებას უზრუნველყოფს, შედეგად, 30 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურება აღდგება.

მიმდინარე სამუშაოები აგვისტოს ბოლოს დასრულდება.

სოფელ კოდაში სარწყავ მილსადენზე სარემონტო სამუშაოები ჩატარდა

1 სექტემბერი

საქართველოს მელიორაციამ, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, ტბისი-კუმისის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის ერთ-ერთ წყალგამტარზე სარემონტო სამუშაოები განახორციელა.

სოფელ კოდაში, მილსადენზე ფილტრაციის საწინააღმდეგო ღონისძიებები ჩატარდა.
სამუშაოების ფარგლებში:
მოეწყო ქვაბულის ფერდები და ძირი;
დამონტაჟდა 1420 მმ დიამეტრის ფოლადის მილი;
სათავისები ბეტონით მოპირკეთდა.
ასევე, მოეწყო მიწის ნაკვეთებთან მისასვლელი გზა.

ჩატარებული სამუშაოების შემდეგ სრულად აღმოიფხვრა წყლის ჟონვის კერები, შედეგად, მილსადენის მიმდებარედ არსებული საკარმიდამო ნაკვეთებისა და სამოსახლო ეზოების დატბორვის საფრთხე აღარ იარსებებს.

სამუშაოები საქართველოს მელიორაციამ საკუთარი ძალებით განახორციელა.

ქვემო ქართლში 755 ჰექტარზე სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდა

16 სექტემბერი

ქვემო ქართლის მოსახლეობას არახლოს რეაბილიტირებული სარწყავი სისტემა ემსახურება.

შპს „საქართველოს მელიორაციამ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტში არახლოს სარწყავი არხის რეაბილიტაცია განახორციელა.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად, სოფელ მუხრანას, ბალახაურის, ნახიდურისა და ხიდისყურის 755 ჰექტარამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდა.

პროექტის ფარგლებში, არხის 4,2 კილომეტრიანი მონაკვეთი რკინა-ბეტონით მოპირკეთდა, მოეწყო წყალგამშვები ნაგებობები, გაკეთდა საფეხმავლო და სამანქანო გადასასვლელები.

სამუშაოების ღირებულება 1 670 000 ლარია.

საირიგაციო სისტემაზე ჩატარებულ სამუშაოებს და რწყვის პროცესის მიმდინარეობას შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი თამაზ მღებრიშვილი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

დღეისათვის ქვემო ქართლში 30 მლნ ლარის ღირებულების სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტები მიმდინარეობს, რომელთა დასრულების შემდეგ, 3000 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი რეგულარულად მოირწყვება, ხოლო წყლის მიწოდება 10 500 ჰექტარზე გაუმჯობესდება.